ფასი 30 თეთრი

*... ინტერვიუ ანტონიო ბანდერასთან ...*

# ფანტაზია

№ 11 (37)

7-13 აპრილი | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | 1997 წელი

## ნომრის სტუმარი



### ანტონიო ბანდერასი

იხილეთ მე-2 გვ.

## მრავალსახეობა კასანდრასი









იხილეთ მე-5 გვ.

### ნაცნობი პრეზიდენტები ნაცნობ გაზეთში

იხილეთ მე-6 გვ.

### საკროსვორდო ჩემპიონატის მეოთხე ტური.

იხილეთ მე-3 გვ.

## ანეკდოტების კონკურსი

(პირველი ტური)

ერთი პირველი პრიზი — 10 ლარი.

გთავაზობთ თემას:

„კასანდრას“ ჩვენებისას შუქი ჩაქრა. ორიოდე წუთში კარზე კაკუნი გაისმა.

— ვინ არის?

— თელასიდან ვარ, ინკასატორი!..

**რა ანეკდოტს მოუყვებოდით ინკასატორს?**

(ანეკდოტები წარმოადგინეთ წერილობითი სახით აპრილის განმავლობაში).

### ნომრის ანეკდოტი



ერთი კაცი თხას დაასეირნებდა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. პოლიციელმა შენიშვნა მისცა:

— რა უნდა თხას ამ შუა ქალაქში?!

— მერედა, ვინ მოგახსენათ, რომ ეს თხაა?

— მაშ, რა არის?

— ძაღლი!

— როგორ?! — რქები რომ აქვს?!

— დაბეჯითებით გთხოვთ, ნუ იჭრებით ჩემი ძაღლის პირად ცხოვრებაში.



**შემდეგი ნომრის სტუმარია იუბილარი ალა პუგაჩოვა**

**ანონსი! ანონსი!**

მკითხველთა ბარათებიდან

## მარი ჯანაშიას!

თქვენ შემაყვარეთ მონიკა,
თქვენ შემაყვარეთ კასანდრა,
თქვენ შემაყვარეთ ჰემა და
ეს სიყვარული გასამდა.
ტკბილმოუბარი ქალი ხართ
(თქვენს ტკბილ ხმას ვენაცვალები!)
კეთილი ხალხის როლებში
გჭვრეტდნენ კეთილი თვალები.
სითბოთი გვავსებს თქვენი ხმა,
დღეს და ხართ ყველა ქალისთვის,
შემოგვენახოთ ეგ სითბო
სხვა ბევრი სერიალისთვის.
ნაზი ხმით წუთისოფლისგან
სიამე მოგვაპარინე,
ღმერთსა ვთხოვთ, რომ ეს სინაზე
მუდამ თან გახლდეთ, მარინე!
ჩვენ სხვა ნატვრაც გვაქვს სათქმელი,
ბავშვებს თუ ასაკხნოვანებს:
თუ გსურთ, რეკლამას ვუყუროთ,
ისიც თქვენ გაახმოვანეთ!

*იზა აგიაშვილი, თბილისი*

**ჩვენს კოლეგებს ვთხოვთ!**
**ჩვენი მასალებით სარგებლობის შემთხვევაში მიუთითეთ პირველწყარო.**

STARS

# მე ვარსკვლავი კი არა, ერთი პატარა პლანეტა ვარ...



**გულწრფელი ხარ, ანტონიო?!**

## *ინტერვიუ ანტონიო ბანდერასთან*

... ნებისმიერ სხვა ესპანელ მსახიობს მიზნად რომ დაესახა ამერიკელ „ნებიერთა" შორის ვარსკვლავად გახდომა, ამას, ალბათ, ყველა ჩვენთაგანი ბავშვურ გულუბრყვილობად და მიამიტობად მიიჩნევდა; ანტონიო ბანდერასის სამსახიობო მონაცემები, მისი გარეგნობა, მოძრაობის მანერულობა და კონცენტრირების უნარი კი იმაზე მეტყველებდა, რომ მას ყველა საფუძველი გააჩნია საიმისოდ, რომ ვარსკვლავთა ელიტაში ადგილი დაემკვიდრებინა. თავისი ბუნებრიობითა და ორიგინალობით გამორჩეული ანტონიო ჰოლივუდში რომ მოხვდა, შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს აქ, კალიფორნიის სულში, შორეულ ესპანეთიდან ახალმა სიომ შემოიჭროლა...

„ — ამდენი ჯადოსნური და შეშლილი წლის შემდეგ მე, ალბათ, მომიწევს დაფიქრება იმაზე, რომ შევისვენო, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა მე მელოტი და მსუქანი ვიქნები — ანტონიო ამას ერთგვარი პატივმოყვარეობით ამბობს და „თვითკრიტიკული" ტონით ამატებს — ასეთი კი აუცილებლად გავხდები!".

... ჯერ-ჯერობით კი იგი „ცხიმების მოსპობის" სააფთიაქო მეთოდზე არ გადასულა და არც თმების ინპლანტაციით „მოყოყოჩე" ფირმების კლიენტი გამხდარა. ანტონიო ცხოვრების ყოველგვარ ცდუნებას გაუცნობიერებელი სიმაგით ეწაფება (თუნდაც გაუგონარი ოდენობის სიგარეტს) და არც რაღაც იდუმალი „სვლებია" მისთვის უცხო. ერთხანს ამერიკის სასტუმროებში სხვისი სახელითაც ცხოვრობდა...

— რატომ?

— მე ერთი ყმაწვილი მოსაკლავად დამდევდა და... არა, მე ვარსკვლავი არა ვარ, მე ერთი პლანეტა გახლავართ, მაგრამ მაინც დამდევდა ის მანიაკი; ესპანეთში ხალხს არცთუ აღელვებს ვარსკვლავთა ყოფა-ცხოვრება, ამერიკაში კი ყველა ცნობილი ადამიანი დაბეჯითებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამერიკელები, როგორც წესი, ჩვეულებრივი სათნო ადამიანები არიან, მაგრამ უცნაური ჩვევა კი აქვთ — ყოველ ვარსკვლავს ფანატიკოსთა მთელი ამალა ახლავს...

— კი მაგრამ — ვისაც ვარსკვლავობა სურს, ფანატიკოსთა „შემოტევებიც" ხომ უნდა აიტანოს?!

— მე ეს ილუზორული დიდება არ მხიბლავს. ჩემთვის ბედნიერება უფრო სხვა კატეგორიებით განისაზღვრება, ანუ: მთავარი ისაა, რომ უამრავ ადამიანს ჩემს მიმართ ნდობა გააჩნიათ.

— ამ ნდობაში რა იგულისხმება, უფრო სწორად: შენი არტისტიზმის ქვაკუთხედი რა არის?

— ის, ვინც მენდობა, ჩემი შესაფერისი პერსონაჟების თამაშს მთავაზობენ; მე მიხარია, რომ რაღაც ინდივიდუალური ღირსებები გამაჩნია (თუნდაც მათს თვალში).

— იქნებ დააკონკრეტო?

— ჩემი პერსონაჟები ხასიათთა განვითარებისას უნდა ცნობიერდებოდნენ; მე ერთ თარგზე მოჭრილი როლის შესრულება არ შემიძლია. თვით უარყოფითი პერსონაჟიც, ერთის შეხედვით, ყოველმხრივ გადაგვარებულიც კი, გარკვეულ ღირსებას უნდა ფლობდეს, რათა რეალური იერსახე მიეცეს. აი, მაგალითად — ფილმი „დესპერადო"... აქ როლი სრულად უჩვეულოდ გაიხსნა: ჩემს გმირს ესმის, რომ მართალი არ არის, მაგრამ შეჩერება არ ძალუძს, მან ორი გაიძვერა უნდა მოსპოს, რომლებმაც საყვარელი ქალი მოუკლეს. ამ ფილმში შეიქმნა არა ცხოვრების ყალბი ასლი, არამედ ნამდვილი სურათი.

... „ქალი, რომელიც მას უყვარს"... ეს, რა თქმა უნდა, მელანი გრიფიტია და, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში, კინოში კი... ერთ დროს ანტონიო ბანდერასი ესპანელი რეჟისორის, ალმოდოვარის, მაცდუნებელ ეროტიულ ქმნილებებში თამაშობდა; მას ერთ ინტერვიუში უთქვამს: „ყველაზე კარგი კოცნა ჩემმა თანამემამულე ვიქტორია აბრილმა იცისო..." ამ ფრაზით ანტონიოს „ინტიმურ სცენაზე" გადავერთოთ:

— ქალის თემასაც შევეხობთ... აი, თუნდაც ფილმი „ინტერვიუ ვამპირთან"?

— აქ ერთ მსახიობთან ერთად ერთი სცენა შევთხზით საკუთარი ინიციატივით; სცენარში ჩვენს პერსონაჟებს შორის კოცნა გათვალისწინებული არ იყო, მე და მან კი გადავწყვიტეთ მცირეოდენი სექსუალობა შემოგვეტანა და ჩვენს მიერ განსახიერებულ ვამპირებს შორის სექსიც გაჩნდა. ეს რაღაც საოცარი სექსი იყო, ჩვეულებრივი ადამიანური „შერწყმისაგან" განსხვავებული. როგორც ჩანს, სექსუალურ ჭრილში ვამპირებს ერთი რამ აერთიანებთ — სისხლის წყურვილი და ჩვენც ეს როლები ამ ქვეტექსტით ვითამაშეთ. ჩვენ გვსურდა მცირეოდენი მგრძნობელობა ჩაგვექსოვა ამ ორი უცნაური ადამიანის ურთიერთობაში. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ხელოვნებამ პუბლიკა სიმშვიდიდან უნდა გამოიტყუოს და შეძრას მისი სული, თუნდაც — გამოაფხიზლოს. ჩემი საყვარელი პიკასოს ნახატებს თუ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, მათი ხილვისას ადამიანები შეძრწუნებას ვერ ფარავენ. ბარსელონის მუზეუმში ხელოვნების მაღალზნეობრივი თაყვანისმცემლები გაოგნებულნი უმზერენ პიკასოს ნახატებს, სადაც ქალი თუ კაცი საოცრად უხამს სცენებში არიან გამოხატულნი... ხალხმა უნდა გაიგოს, რომ სწორედ ესაა ცხოვრება, პიკასო კი მხოლოდ აღწერს მას. ასე რომ, ნამდვილ მსახიობს საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა უნდა შეეძლოს.



— ნუთუ ისიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ბანდერასის „პრაქტიკაში" ჰომოსექსუალური ფაქტებიც იყო?!

— არა, არასოდეს! მე ორიოდეჯერ ჰომოსექსუალისტების როლის შესრულება მომიხდა და ყოველთვის ვცდილობდი, რომ დამაჯერებლად მეთამაშა. მე მეუბნეობოდნენ — „შენს იმიჯს რატომ არ უფრთხილდებიო?!" — მე კი არ მაშინებს საკუთარი იმიჯის შერყვნა. თავდაჯერებულ ყმაწვილებს ვასახიერებდი, მაშინაც კი ვცდილობდი იმას, რომ „უცნაური სვლებით" ფარული ეჭვი აღმეძრა ამ გმირების „სიძლიერისადმი"; ალბათ, გესმით, რის თქმაც მსურს?!

— თემა შევცვალოთ — „ამერიკა შენს ცხოვრებაში?"

— აქ, ლოს-ანჯელესში, მხოლოდ ნილბები, მეტაფორები და ირეალური ცნებებია; ყველაფერი იმიჯის, სალარო შემოსავლის, დიდების გარშემო ტრიალებს... აი, ამით ამოიწურება ჩემთვის ამერიკა...

— ევროპა?

— ო, იქ ისტორიის ასწლეულები ტვირთივით აწევს პიროვნებას; ჩემს მშობლიურ კასტილიაში არის სოფლები, რომლებიც ათიოდე კილომეტრითაა ურთიერთს დაშორებული და რომლებიც განსხვავებულ ენებზე მეტყველებენ, განსაკუთრებული კულტურის გარემოში ცხოვრობენ; ამერიკაში კი წამიერად ნახულობენ საერთო ენას, წამიერად ჭრიან პრობლემებს და ასეთივე სისწრაფით მოქმედებენ და აქვეა პარადოქსი: ადამიანებს ადამიანების სწამთ?!

— ე. ი. შენც გწამს შენი კოლეგების; როგორები არიან ისინი?

— ჯოდი ფოსტერი ჭკვიანი, ძლიერი, შესანიშნავი მსახიობია; ჯულია რობერტსი ძალზედ კაშკაშა ვარსკვლავია, ტომ კრუზი კი — ნამდვილი ვარსკვლავი!

— ანტონიო ბანდერასი?

— მე უკვე ვთქვი — ვარსკვლავი კი არაა, ერთი პატარა პლანეტა ვარ-მეთქი, რომელსაც არ სურს ჰქონდეს ის, რასაც იგი არ იმსახურებს; მე მგონი, ჩემი პოპულარობა გაზვიადებულია და არ შეესაბამება იმას, რაც გაკეთებული მაქვს. ჯერაც ბოლომდე არ მჯერა იმ წარმატებების, რაც წილად მარგუნა ბედმა და, ალბათ, იმიტომ, რომ მე ძალზედ მერყევი ადამიანი ვარ.



ვერ ვიტყვით, რომ ეს სიტყვები დამაჯერებელი ტონით ითქვა, რადგან ანტონიო ინტერვიუერის თვალში თავისი ხიბლისა და მიმზიდველობის სრულყოფილებით გამოიკვეთა...

... და დარჩა პასუხგაუცემელი შეკითხვა:

— გულწრფელი ხარ, ანტონიო?!



# სექსით გადაღლილები კაცები

**(პირველი ნაწილი)**

### მაიკლ დუგლასი

ყველანაირად ვცდილობ, რომ გადაღების ინტიმურობის ილუზია შევქმნა და ბუნებრივი სახე მივილო. ლოგინის სცენების თამაშისას მე ერთი კატეგორიული მოთხოვნა მაქვს — მე და ჩემი პარტნიორი წინა მხარეს შიშვლები არ უნდა ვიყოთ.

### კევინ კოსტნერი

ჩემთვის რომ ეკითხათ, რას ვამჯობინებდი გადასაღებ მოედანზე — ვუალერსო ქალს თუ გაჭენებული ცხენიდან ბანდიტი გადმოვაგდო — მე ამ უკანასკნელს ვირჩევდი.

### პატრიკ სუეიზი

მე და კელი ლინჩი ჩაცმულები ვიყავით, მაგრამ მაინც შესანიშნავი სექსუალური სცენა შევქმენით ფილმში „გზისპირა სახლი". თუმცა ამ სცენებისას „კულმინაცია" სრულად გამორიცხულია, რადგან ასობით ადამიანის თვალწინ ყოველგვარი გრძნობა იკარგება.

### ჯეკ ნიკოლსონი

პირველ კადრებში ფილმისა „ფოსტალიონი ზარს ორჯერ რეკავს" არის სცენა, როცა მე და ჯესიკა ლანჟი სამზარეულოში „სიყვარულს" ვასახიერებთ, ეს კი ისე ბუნებრივად უნდა მოახერხო, თითქოს ჩაის ან ყავას სვამ. საერთოდ კი, ფილმის პარტნიორთან ვერიდები რაიმე რომანის გაბმას ცხოვრებაში.

### არნოლდ შვარცნეიგერი

ამგვარი სცენების დაწყებამდე მე ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ყველაფერს ვითვალისწინებ — პარტნიორს ვუთანხმდები, თუ რა უნდა ვაკეთოთ ლოგინში და რეპეტიციაზე ზომიერების ფარგლებს განვსაზღვრავთ. ერთხელ მე შერონ სტოუნთან ერთად ვიწექი და ისე ვკოცნიდი და ვუალერსებდი, როგორც სცენარში ეწერა. უცებ რეჟისორი მოიჭრა ჩვენთან და მითხრა — „არნოლდ, შენ არაბუნებრივად იქცევი; მიყურე, როგორ უნდა!" — მე ხელი მკრა, შერონს მოეხვია და კოცნა დაუწყო... შერონიც კოცნითვე პასუხობდა. მე რაღაც უხერხულ მდგომარეობში აღმოვჩნდი და ვთქვი: „ოპერატორსაც ხომ არ უნდა ამ ქალის გასინჯვა?!"... საერთოდ კი მე ამის წინააღმდეგი არ ვყავი.

*(შემდეგ ნომერში ქალთა „განცდებს" შემოგთავაზებთ).*



## ანეკდოტები

*სიძე-სიდედრიანის ციკლიდან*

ერთ კაცს ცოლი მოუკვდა.

მეგობარმა ჰკითხა:

— იმ შენს მკვდარ ცოლს და თუ ჰყავს?

— ჰყავს.

— ჰოდა, აუცილებლად ეგ ცოლისდა შეირთე.

— რატომ?

— ახალ სიდედრთან შეგუებას გადარჩები.

*— თქვენმა ძაღლმა ჩემი სიდედრი დაკბინა...*

*— თქვენ, ალბათ ჯარიმას გადამახდევინებთ?*

*— არა, გთხოვთ, რომ ეგ ძაღლი მომყიდოთ.*

მიხო პლაჟზე „ზაგარს" იღებდა, მისი სიდედრი კი ზღვაში ბანაობდა. უცებ სიდედრმა ჩაძირვა დაიწყო.

— მამი, მამი! ბაბო ხელს გვიქნევს — უთხრა შვილმა მიხოს.

მიხომ გაიხედა ზღვისაკენ და შვილს შესთავაზა:

— ჩვენც დავუქნიოთ, შვილო!

*— ძალიან მინდოდა, ჩემს შვილს მუსიკა ესწავლა, პიანინოც ვუყიდე, მაგრამ — უშედეგოდ.*

*— ეჰ, მეც ასე დამემართა, როცა ჩემს სიდედრს ჩემოდანი ვუყიდე.*

# საქართველოს პირველი საგაზაფხულო ჩემპიონატი სუპერკროსვორდის შევსებაში 10 ტურად

## გაზეთ „ფანტაზიის" პრიზზე

## მეოთხე ტური — 8–14 აპრილი     100 სიტყვა



თარაზულად: 5. საბრძოლო-საპასუხისმგებლო თანამდებობა. 12. ავტორი რომანისა „ბალთაზარ კოსა"... 13. როგორი გეოლოგიური ერა იცით? 14. ერთი ფრანგი მწერლის (გვარს არ გეტყვით, ენციკლოპედიაში რომ არ ნახოთ) მიერ აღწერილი ოჯახის გვარი. 15. რომანტიკოსი ფრანსუა... (1768-1848). 16. სოფელი, სადაც, ქართული ეზოთერიზმის მტკიცებით, „ნოეს კიდობანი" მდებარეობს. 18. აზერბაიჯანის კასპიისპირა რაიცენტრი. 19. (ბერძ.) თვალის დაავადება. 20. კომუნისტურ-ალლუმური „სიტყვა". 21. ალმ. აზიის (ჯუჯა) „ტერიტორია". 24. დრამატურგიული გვარი ძმებისა აკ. ხორავას და აკ. ვასაძის რეპერტუარიდან. 25. დუნაის ქვედა დინების აუზის ერთი (არცთუ პატარა) მდინარე. 28. მსახიობი ფილმიდან — „კანონი კანონია". 29. თბილისის მთავარი მხატვარი ახლო წარსულში. 31. სენტიმენტალისტი თომასი... (1716-1771). 32. ცენტრ. იტალიის ოლქი. 35. კოტე დაუშვილის კინოროლი. 36. 80 000 კმ. ჟიულ ვერნის „საზომით". 38. ყველაზე ცნობილი ჟანას (მაინცდამაინც სტიუარდესას ნუ გაიხსენებთ) მშობლიური მდინარე. 39. აფრიკული სახელმწიფოს დედაქალაქი. 40. აფრიკის (კიდევ ერთი) სახელმწიფოს დედაქალაქი. 41. ქართველი კომპოზიტორი... ჭადრაკში. 42. (თარგმნეთ ბერძნულად) ძარღვი. 44. ერთი ქართველი ტელეჟურნალისტის „საყვარელი" საზეინკლო იარაღი. 47. 360-600 რომაელი მებრძოლი. 48. ლათინელამერიკელთა (იგნასიოს წინაპართა) „ლაბადა". 49. აბუ ლ-მაჯდ მაჯდუდ იბნ ადამ (ვითომ რამეს გეუბნებათ?!), ანუ სპარსელი პოეტი. 51. იზა გიგოშვილის სცენიური გმირი. 53. შუა სს. ერთი რელიგიურ-იდეალისტური ფილოსოფიის მიმდევარი. 55. რუსული ესტრადის კიეველი ვარსკვლავი. 58. ალჟირის ერთი ვილაიეთის ადმ. ცენტრი (რუკები ჩქარა!). 61. რუმინელი ჩოგბურთელი, ალ. მეტრეველის მეტოქე. 62. (მადამ) მოდელიორი (გვარს არ გეტყვით!). 63. ცნობილი ფეხბურთელი (წარმოშობით) სურინამელი. 66. აკაკისეული პერსონაჟი. 67. იაპონიის მარშალი... რუსეთ-იაპონიის ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა (პირველი ასო ხომ იცით!). 68. რომაელთა მიერ (ძვ. წ. მე-4 ს.) ქართლის მმართველად დასმული პირი. 69. თვრამეტნოლიანი რიცხვი. 70. მატვეი ისაკის ძე... კომპოზიტორი („კატიუშა" და მისთანანი). 72. ნიკიტა პავლეს ძე... ფეხბურთელი, „სპარტაკელი" და ძველი. 75. დაბა სოხუმის მახლობლად. 76. გოგჩა („... ტბა ვრცელი"). 80. შაჰ-აბასის სატახტო ქალაქი. 83. მარჯანიშვილის თეატრის ახლანდელი მსახიობი, პაროდისტი. 86. მუხლის „ნახევარმთვარეები" (ფეხბურთელებს ჰკითხეთ). 88. (სენიორ) დრამატურგის სახელი, ავტორი პიესისა „ცხვრის წყარო". 90. ცის ტატნობის წერტილი, საიდანაც გამოდის ციურ სხეულთა მოჩვენებითი პერსპექტივები (მაგ. ერთი ნაკადის მეტეორთა და ა. შ.). 91. აფრიკის (კიდევ ერთი) სახელმწიფოს დედაქალაქი. 92. რეინის შუადინების აუზის მდინარე. 93. ქალაქი ირანში. 94. რა მოჰყვა კომუნისტურ რეპრესიებს?

შვეულად: 1. სამოციანი წწ. იუგოსლაველი ესტრადის მომღერალი, თბილისელთა დიდი მეგობარი. 2. 1962 წლის ჩეხოსლოვაკიის ნაკრების უძლიერესი ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის" მფლობელი. 3. ჩხირისებრი ბაქტერია. 4. კომუნისტური საქართველოს ერთ-ერთი პრემიერ-მინისტრი. 5. კლდიაშვილისეული პერსონაჟი. 6. საფრანგეთის ისტორიულ-ეკონომიკური რეგიონი. 7. ფილმი რომი შნაიდერისა და ალენ დელონის მონაწილეობით. 8. მწერიჭამია ძუძუმწოვარა. 9. (თარგმნეთ სპარსულად) ოპიუმი. 10. 1815 წლის 18 ივნისის ცნობილი ბრძოლის ადგილი. 11. ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. 17. თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი კაპიტანი (ფეხბურთში). 22. ზღვის 13-20 მეტრიანი ძუძუმწოვარა. 23. საბერძნეთის საფეხბურთო გუნდი. 24. რა დაგვავიწყა სპარსულმა „ბალმა"? 26. ლუი XII-ის (ვერდისეული) მასხარა. 27. ჰარამხანის „ნდობით აღჭურვილი" პირი. 30. კომუნისტურ (და არა მარტო კომუნისტურ) — ალლუმური „ატრიბუტი". 33. მე-19 ს. გერმანელი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი. 34. ქალაქი იაპონიაში. 35. კასანდრას ქვეყნის მეზობელი ქვეყანა. 36. სოფელი ცაგერის რაიონში. 37. რა დასრულდა წიწამურში ილიას მკვლელობით (გალაქტიონის თანახმად)? 43. აშშ-ს შტატი. 45. ატლანტის ოკეანისპირა დედაქალაქი. 46. იურული პერიოდის ერთ-ერთი ბინადარი. 49. რომის პოლიტ. მოღვაწე (ძვ. წ. 138-78). 50. ახალი სიტყვა. 52. შარლოტა ბრონტესეული (დაბრმავებული) პერსონაჟი 54. სპეციფიური ჩეხური სახელი მამაკაცისა. 56. თარგმნეთ მალაელთა ენაზე — „ტყის კაცი". 57. ჩეჩენი (ახლა ბოხოხიანი) მოცეკვავე, მაჰმუდი... 59. ლერმონტოვისეული სცენიური პერსონაჟი. 60. სიკვდილისწინა მდგომარეობა. 64. ცნობილი ქართველი თეატრალური მხატვარი. 65. ამერიკელი ესტრადის ვარსკვლავი. 70. სომხური (დაბეჟილ-ნაწიწაკარი) ლორი. 71. რუსი მწერალი-სატირიკოსი, ... თანაც თანამედროვე. 73. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი მამამთავარი. 74. რუსული (საბჭოური) ავტომობილი. 77. საცხენოსნო თამაში. 78. აზიის და ლათ. ამერიკის 300 კგ-იანი არაწყვილ-ჩლიქოსანი ცხოველი. 79. NBA-ს ლეგენდარული კალათბურთელი. 81. შორეული აღმოსავლეთის მდინარე. 82. საბჭოური პრესის „ემბრიონი". 84. ახლო წარსულის იტალიელი მეკარე. 85. ფიდეს ერთ-ერთი ყოფილი პრეზიდენტი. 87. მდინარე აზიაში. 89. დიდგვაროვანთა კარზე ვანებივრებული ყმაწვილი.

## ჩემპიონატში მონაწილეთა შედეგები 7 აპრილისათვის

| | I ტური ქულა, % | II ტური ქულა, % | III ტური ქულა, % | კოეფიც. |
|---|---|---|---|---|
| იური გაბრიელიძე | 94—100% | 107—100% | 96—96.97% | 98.99 |
| მურთაზ კიკალეიშვილი | 93—98.93 | 107—100 | 97—97.98 | 98.97 |
| მამუკა ნებიერიძე | 92—97.87 | 107—100 | 97—97.98 | 98.62 |
| მანანა ბუღლულაშვილი | 92—97.87 | 105—98.13 | 98—98.99 | 98.33 |
| ლევან აგლაძე | 91—96.80 | 106—99.06 | 96—96.97 | 97.61 |
| გიორგი სალრიშვილი | 93—98.93 | 107—100 | 92—92.93 | 97.29 |
| შოთა ფანჩვიძე | 90—95.74 | 105—98.13 | 97—97.98 | 97.28 |
| ავთანდილ თიკანაშვილი | 91—96.80 | 106—99.06 | 94—94.95 | 96.94 |
| მერაბ კუტალაძე | 93—98.93 | 105—98.13 | — | 98.53 |
| გიორგი ერიქაშვილი | — | 106—99.06 | 97—97.98 | 98.52 |
| არკადი ქურჩიშვილი | 91—96.80 | 107—100 | — | 98.40 |
| ნინო გონაძე | 92—97.87 | 105—98.13 | — | 98.00 |
| გიორგი ვეკუა | — | 106—99.06 | 95—95.96 | 97.51 |
| დათო კვირიკაშვილი | 91—96.80 | 105—98.13 | — | 97.46 |
| გიორგი გიორგაძე | 91—96.80 | 100—93.45 | — | 95.12 |
| გიორგი სახვაძე | 87—92.55 | 103—96.26 | — | 94.40 |
| ვასილ ლომუაშვილი | 86—91.48 | 104—97.19 | — | 94.33 |
| პაატა ლეკიაშვილი | 83—88.29 | 106—99.06 | — | 93.67 |
| ალექსანდრე მათიაშვილი | 85—90.42 | 103—96.26 | — | 93.34 |
| სალომე სალუქვაძე | 84—89.36 | 103—96.26 | — | 92.81 |
| გია მეტრეველი | 85—90.42 | 95—88.78 | — | 89.60 |
| ზურა სესიტაშვილი | — | 107—100 | — | 100 |
| ზაალ ზურაბიშვილი | — | 107—100 | — | 100 |
| ქეთევან ნიკოლაიშვილი | — | 105—98.13 | — | 98.13 |
| ვაჟა ტაბატაძე | — | 105—98.13 | — | 98.13 |
| ნინო გოქაძე | — | 103—96.26 | — | 96.26 |
| მარინე ხაჩირაშვილი | — | 101—94.39 | — | 94.39 |
| ლერი თოფჩიშვილი | — | 100—93.45 | — | 93.45 |
| ნათია ელოშვილი | — | 99—92,52 | — | 92,52 |

### პირველი ტურის საჩემპიონატო კროსვორდის პასუხები.

თარაზულად: 5. ჟორდანია; 11. პრჟევალსკი; 12. ბარაქა; 13. რკინიგზა; 15. ცივილიზაცია; 16. ზემელი; 17. რანევსკაია; 18. ადვოკატი; 19. ტროა; 22. კვალიფიკაცია; 26. მინისტრი; 28. ტოკიო; 30. რამპა; 31. ნოე; 32. ლილიენტალი; 35. ლოკომოტივი; 38. მაცნე; 39. შიიტი; 40. ლირა; 41. დიმიტრიადი; 45. ნანკინი; 46. ნენსი; 47. ნიურნბერგი; 48. ოსიკო; 51. ოგანესიანი; 54. ევბეა; 55. თიხა; 57. იანკი; 60. ინსბრუკი; 62. კირკოროვი; 64. კალუგა; 65. შოტლანდია; 66. კელერმანი; 67. პანიკა; 69. კოლბა; 70. ონკოლოგია; 73. ლესია; 74. ბუკია; 76. დარდიმანდი; 78. დისკოთეკა; 81. ნადფილი; 83. ფირნიში; 84. ლომბარდი; 85. ამაზონი.

შვეულად: 1. ფრეინდლიხი; 2. პერიტონიტი; 3. კალიმანტანი; 4. ოსკარი; 5. ჟირინოვსკი; 6. დინასტია; 7. ნუგზარი; 8. აბაზანა; 9. კრამიტი; 10. სქოლიო; 14. კაეშანი; 20. რაუნდი; 21. აგრესორი; 23. ფურგონი; 24. კომპოტი; 25. ცვარი; 27. იტალია; 29. ოლქი; 32. ლომონოსოვი; 33. ლიცენზია; 34. ემელიანე; 35. ლიანგი; 36. კუდინოვი; 37. ვოიცეხი; 39. შრიფტი; 42. მაუზერი; 43. ტონი. 44. დოგმა; 46. ნეონი; 49. სიათა; 50. კეკლუცი; 52. გონდოლიერი; 53. ნობელი; 56. ხროვა; 58. სკლეროზი; 59. მიჩიგანი; 61. კოდალა; 62. კაკაო; 63. რემბო; 64. კაპაბლანკა; 68. ნიკანდრო; 69. კალორია; 71. ნარგილე; 72. გონჩარი; 75. ადვილი; 77. მამბა; 78. დეფა; 79. სურა; 80. ელია; 82. პია.

### ჩემპიონატის წესები:

— ტურნირი დაყოფილია 10 ტურად (გაზეთის 10 ნომრად)

— მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას

— ყოველ სუპერკროსვორდში ერთი სწორად ამოცნობილი სიტყვა ერთი ქულაა.

— ჩემპიონატში მონაწილედ ჩაითვლება ის, ვინც წარმოადგენს არანაკლებ 5 ტურის პასუხებს (დადგენილ ვადაში) თუნდ მიყოლებით, თუნდაც ტურების გამოტოვებით.

— თითოეულ ტურში ქულები შეჯამდება შემდეგნაირად:

სწორად ამოცნობილი სიტყვების პროცენტული რაოდენობის ჯამი გაიყოფა იმ ტურების რაოდენობაზე, რომელშიც კროსვორდის შევსები მიიღებს მონაწილეობას.

— გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვისაც ყველაზე მაღალი პროცენტული კოეფიციენტი ექნება.

— ტურნირში გამარჯვებულს მიენიჭება საქართველოს საგაზაფხულო საკროსვორდო ტურნირის ჩემპიონის ტიტული, დაჯილდოვდება გაზეთ „ფანტაზიის" პრიზით და ფულადი თანხით. პრიზები გადაეცემათ მეორე-მეხუთე ადგილის მფლობელებსაც.

**მეოთხე ტურის პასუხები მოიტანეთ 14 აპრილის ჩათვლით**

### მონაწილის სავიზიტო ბარათი

გვარი ____________________

სახელი ____________________

მისამართი ____________________

ტელეფონი ____________________

# კროს-ფანტაზია

## 80 000 კილომეტრი... კროსვორდის თანხლებით

### მე-7 გაჩერება — დიდი ბრიტანეთი და ირლანდია




დიდი ბრიტანეთი — 244,1 ათასი კვ. კმ., 56 მლნ. მცხოვრებით.

ეს არის გაერთიანებული სამეფო: 1) ინგლისი — 39 საგრაფო; 6 მეტროპოლიური საგრაფო, დიდი ლონდონი; 2) უელსი — 8 საგრაფო; 3) შოტლანდია — 9 რაიონი; 4) ჩრდილოეთ ირლანდია 26 ოლქი. – და აი, ყველაფერი ამის დედაქალაქი გახლავთ ლონდონი (ვითომ არ იცოდით, არა?!)

ირლანდია — ანუ ირლანდიის რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქი თარაზულ № 48-ზეა ჩაშიფრული. ტერიტორია — 70,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,5 მლნ. ადამიანი. მას რატომღაც „ზურმუხტოვან კუნძულს" უწოდებენ.

თარაზულად: 2. ინგლისელი მწერლის, ჯონათან სვიფტის მიერ შეთხზული პერსონაჟი; 6. ირლანდიელი ლორდი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე სამარანჩამდე; 8. დიდი ლონდონის ისტორიული რეგიონი; 11. ინგლ. მწერლის, ჯონ გოლზუორთის „ფორსაიტების საგის" მთ. პერსონაჟი; 14. დამადებით ინგლისელი ჩაპლინის ერთ-ერთი სახელი; 16. ინგლისის გუნდი, რომელთანაც ჩვენმა „დინამომ" 1973 წელს 1-1 ითამაშა; 20. „მეტროპ" ქალაქი დიდი ლონდონის ოლქში; 22. შექსპირის „რიჩარდ მესამის" პერსონაჟი; 24. ერთი ინგლისელი ფეხბურთელის მეტსახელი; 26. დედაქალაქი ქვეყნისა, რომელიც ერთ დროს დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო; 27. ინგლისური გაზეთი; 28. (მასტერ) პილი (სურათი იხილეთ გასულ ნომერში); 30. ჯონ ლენონის (ინგლისელი) ცოლი (იაპონელი); 32. ირლანდიური – (ინგლისური) – ბრიტანული თქმულება – ზოგადად; 35. შექსპირის ტრაგედია; 36. ინგლისელი მოგზაური, არგონავტების მარშრუტის მკვლევარი; 38. მეუფე № 12 – ინგლისურად; 39. ინგლისური კლუბი (არასპორტული). 42. ჯეიმს ჯოისის გახმაურებული რომანი; 43. (ერთხელაც ვახსენოთ) ბიბლიური „მეზღვაური"; 44. ინგლისში შექმნილი ერთი სპორტის სასპარეზო ფართი; 46. „რობ"-ის ნახევარი ერთი ინგლისელი მწერლის რომანში; 47. ინგლისელი დრამატურგი, კრისტოფერ... (1564-1593); 49. ირლანდიის დედაქალაქი; 50. ჩრდ. ირლანდიის დედაქალაქი; 51. ქვეყანა, სადაც ინგლისამდე ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში; 52. ინგლისელი დრამატურგი, რიჩარდ... (1751-1816); 53. ქალაქი ინგლისში, რომლის „ახალი" ვარიანტი ამერიკაშია.

შვეულად: 1. „ბითლზის" მშობლიური ქალაქი (ინგლისში – „ოფ ქო-ო-რს!"); 3. შექსპირისეული მეფე; 4. თარგმნეთ ინგლისურად – „წვეთ, ხლება"; 5. ინგლისელი მხატვარი-რომანტიკოსი; 7. წარსულში სახელგანთქმული ჩრდ. ირლანდიელი ფეხბურთელი; 9. ინგლისელი ლორდი-პოეტი, ალფრედ... (1809-1892); 10. ინგლისელი ფეხბურთელი, „პრეზენტ" დროში; 12. მხატვარი, რომელიც „ნისლიან ალბიონს" ნაკლებად „სწყალობს"; 13. მორწყვის „მეცნიერება"; 15. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 17. ირლანდიის „ადგილობრივი" სახელი; 18. ინგლისელი ლინგვისტი ბერნარდ შოუს პიესიდან; 19. ბაირონის, შელის, სუინბერნის (და, ოფ ქო-ო-რს, სხვების) შთაგონების „საშუალება"; 21. ინგლისელი ჯონ გოლზუორთის პროფესია; 22. რა ერქვა თეატრს, სადაც შექსპირი მსახიობობდა? 23. რა მეცნიერება შეისწავლის, ვთქვათ (ინგლისის) ვიქტორიანულ ეპოქას? 25. შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, ადამ... (1723-1790); 29. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი, (ახლა) „პრეზენტ" დროში; 31. წარსულში სახელგანთქმული შოტლანდიელი ფეხბურთელი; 33. შოტლანდიის დედაქალაქი (ივით, ბატონო, ივით!); 34. სირბილის (ინგლისური) სახესხვაობა; 37. უელსის დედაქალაქი; 40. დიდი შოტლანდიელი პოეტი; 41. ინგლისელი ფეხბურთელი ლის პარტნიორი „ქარწვეულში" (ფოტო იხილეთ გასულ ნომერში); 42. ქალაქი უესტ-მიდლენდსის მეტროპოლიტურ საგრაფოში, დიდი ბრიტანეთი; 43. ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც თარაზულ № 16-ში ხსენებულ მატჩში მიიღო მონაწილეობა; 45. სიგრძის საზომი ერთეული ათვლის ინგლისურ სისტემაში; 47. ვინ იყო რიჩარდ მესამე (მერე მეორე და ა. შ.); 48. ზღვის ნაწილი.

# ვარიანტები

### შეარჩიეთ სამიდან ერთი სიტყვა და ჩაწერეთ კროსვორდში.



თარაზულად: 3. ფეტვი-როკვა-ფაცხა; 8. ტრამალი-სტიმული-ტურბინა; 9. ბედაური-ლონდონი-ვარაუდი; 10. შალვა-დერბი-დელტა; 11. შევალიე-შარდენი-შაშხანა; 12. მატერია-დანტესი-ზაქარია; 13. ლაიმა-ლინზა-ლისტი; 14. გალიელი-ბომონდი-ქოროღლი; 17. ნინევია-კოლონია-კლაუდია; 21. გეორგია-ტირანია-იაპონია; 22. ხარახურა-გლაუკომა-ბენგალია; 23. პრაქტიკა-აპოკრიფი-□ჯოლბორდი; 25. პარმალი-გრიმასა-ტკაცუნი; 28. ენერგია-ავიაცია-ორესტეა; 31. უამრავი-იაგუარი-იამბიკო; 34. სკოლა-ბროლი-მადლი; 35. პლანეტა-კრემონა-კლასიკა; 36. მაღლობი-დაბლობი-ნარჩენი; 37. შაიბა-ცხენი-ციება; 38. უნისონი-ანანასი-ესენინი; 39. გლობუსი-პლატინა-რეზერვი; 40. ელადა-ომარი-აზიზი.

შვეულად: 1. მუდარა-არსენა-ეტრატი; 2. ამბავი-აბრაგი-ამბაკო; 3. ფიდელიო-რელიგია-რიშელიე; 4. ცილინდრი-კოლონტაი-კულინარი; 5. ავაზაკი-ალაზანი-იბადანი; 6. ალვაძე-კაკადუ-ბოლერო; 7. ინტიმი-ადგილი-ბრესტი; 14. გორგოძე-ქარხანა-ბერგამო; 15. მიკრონი-რემარკი-ლებარდე; 16. ეგმონტი-დიალოგი-ეტალონი; 18. იაპონია-ლატარია-ლიგურია; 19. ვაზიანი-ნიქოზია-დარინდა; 20. არქაული-ასკანიო-არბიტრი; 24. მცხობელი-ამბოხება-უცოდველი; 26. როდეზია-კაბირია-კასაცია; 27. ნიადაგი-ღლაბუცი-ნიახური; 29. ნულინი-ვერონა-ნილოსი; 30. სიმონა-როსინი-აგნესა; 32. ულება-ურჩობა-ბალეტი; 33. კანონი-რებუსი-კონევი.

# ვიქტორინა — „მალულა"



10 ლარი იმას, ვინც გამოიცნობს, თუ ვინ „იმალება" კროსვორდის უკან და იმავდროულად მთლიანად შეავსებს კროსვორდს. მხოლოდ ამოცნობა ან მხოლოდ შევსება არაფერს იძლევა. (შეგიძლიათ შექმნათ ბლოკი — ერთმა ამოიცნოს, მეორემ შეავსოს — ოღონდ ჩვენ ამას ნუ გაგვიმხელთ).



... გასული ნომრის „მალულაში" კროსვორდის ჩარჩოს მიღმა „იმალებოდა" ბატონი ეროსი მანჯგალაძე. სწორი პასუხი პირველმა გამოიცნო ლერი ლორთქიფანიძემ.

თარაზულად: 6. ერთ-ერთი შიდაუჯრედული ნაწილაკი. 10. რუსი მათემატიკოსი ქალი. 11. ტაილანდის დედაქალაქი. 12. ქალაქი ციმბირში. 13. გერმანელი (მექორწილე) კომპოზიტორი. 14. ერთი მწერი – ერთი სიმღერიდან. 18. განსაზღვრული ოდენობა. 20. მსოფლიო კინოს ერთი იტალიელი მაესტრო. 22. რუმინეთის საფეხბურთო კლუბი. 24. (დიდი ხანია, არ გამოგვიყენებია) თანამედროვე „ანტიგონეს" ავტორი საფრანგეთიდან. 25. რუსი მსახიობი დანელიას ფილმებიდან. 26. ჩვენი ზაფხულის მწვანე საკვები. 27. ადგილი, სადაც ერთი „საგანმანათლებლო" მთა მდებარეობდა საუკუნეების წინ. 28. ერთი ქვა, ორი ქვა... ქვები! 29. კომედია „დელ არტეს" პერსონაჟი. 32. (თვალები მოწრუპეთ, დაფიქრდით...) იაპონიის პრეფექტურა (... თვალები გაისწორეთ, ნუღარ იფიქრებთ!) 33. მთლიანი რკინის ინსტრუმენტი. 35. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 36. საუკუნებრივი ადათ-წესი. 39. ქალაქი ფინეთში. 41. იპოდრომული „ღონისძიება". 42. ცნობილი მეზღაპრე... „წითელი ქუდით". 43. მუსლიმანთა ეშმაკი. 44. ფრანგი მათემატიკოსი. 45. პოსტკომუნისტური ეპოქის მთავარი საწვავი. 46. ფრინველი, რომელიც შორს მიფრინავს (ერთ სიმღერაში). 47. მამა – არკადი, შვილი – კონსტანტინე.

შვეულად: 1. ანჟელიკას ქმარი. 2. მეფისტოფელის „ძმაკაცი" 3. რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი. 4. ოთხი კაცის თანამიმდევრული სირბილი. 5. დიდოსტატის მოშურნე. 6. რა ერქვა თაგორს? 7. დღევანდელი ნორმის გმირი. 8. რგოლების და ბურთულების კომბინაცია. 9. ძვ. საბერძნეთის ქალაქი. 14. ქართული ესტრადის ობოლა. 15. ფერადი თალი. 16. მდინარე ვისლას მარჯვენა შენაკადი. 17. „როცა ჩაქრება ქადრებში ლამპიონების ნათება", „შენი გულის ძგერა მესმის..." და „უშენოდ სიცოცხლე არ მინდა". 19. მდინარის ღრმა ხეობა ამერიკაში. 21. ესპანეთის ავტონომიური ოლქი. 23. მადაგასკარის დედაქალაქი. 26. ძვ. ქართული სამკურნალო წიგნი. 29. თანამედროვე საბეჭდი დანადგარი. 30. რჩეული საზოგადოება. 31. სამეჯლისო ცეკვა. 32. კენკროვანი ხილი. 34. „ნეკერჩხლისფოთლოვანი" ქვეყანა. 37. ვინ იყო ზანგი თომა? 38. სახალხო თავყრილობა ძველ რუსეთში. 39. ურმის ქალებზე გარდიგარდმო ჩამოცმული ფიცარი. 40. ახალი ...რტოფილის გამაშენებელი.

# კროსვორდები და ადამიანები

იტალიურმა ჟურნალმა „პანორამამ" გამოაქვეყნა ყველაზე გრძელი, სამმეტრიანი კროსვორდი, რომელიც 9000 კვადრატს შეიცავდა. ყველაზე დიდი კროსვორდი კი შეადგინა ბელგიელმა ანრი ბლეზმა, რომელმაც 25000 კვადრატის ფართზე განალაგა ურთიერთგადაჯაჭვული სიტყვები. ყველაზე მეტი სიტყვა ჩაიშიფრა ამერიკელი რობერტ სტალგენბაუერის კროსვორდში: 3185 — ჰორიზონტალურად და 3149 — ვერტიკალურად. ეს კროსვორდი ისეთი რთული აღმოჩნდა, რომ მისი ამოხსნა დღემდე ვერავინ შეძლო. იუგოსლაველთა საკროსვორდო „ნაკრებმა" კი განიზრახა ფართზე, რომელიც 24,5X8,35 მეტრს მოიცავდა, დიდი კროსვორდი გაეკეთებინა და იქ უსისტემოდ განალაგეს 20000-მდე სიტყვა.

აი, კიდევ ერთი გიგანტი-თავსატეხი. საფრანგეთის ქალაქ ნანტის კულტურის ცენტრის კედელზე გამოჩნდა რეკორდული კროსვორდი, რომლის საერთო ფართი 12,5X12,5 მეტრზე იყო, ხოლო ყოველი კვადრატის გვერდის სიგრძე 10 სანტიმეტრს შეადგენდა. ამ კროსვორდში 4245 ცნება ჩაეტია და მათთვის საჭირო კითხვებისათვის 32 გვერდიანი ბროშურის გამოცემა გახდა საჭირო. გიგანტური კროსვორდის ავტორი ჟურნალისტი ჟან როსა გახლდათ.

ბელგიელი როჟე ბეკარი კი ამტკიცებს, რომ ყველაზე დიდი კროსვორდი სწორედ მან შექმნა. მისი ქმნილება 13 მეტრია სიგრძით, 53 სანტიმეტრი— სიგანით და 50 400 სიტყვას შეიცავს.

სხვათა შორის, ასეთ ვეებერთელა კროსვორდებს „მამონტები" ჰქვია, თუმცა ახლა სხვა საკროსვორდო მიღწევები გავიხსენოთ:

აშშ-ს პირველი პროფესიონალი კროსვორდისტები იყვნენ მარგარეტ პეტერბრიჯი, პროსპერ ბურანელი და გრეგორი ჰარტსუიკი. სწორედ ისინი გახლდნენ ავტორები პირველი საკროსვორდო კრებულისა, რომელიც 1924 წლის 10 აპრილს გამოიცა.

ინგლისის ყველაზე ნაყოფიერი კროსვორდისტები ბრაიან ბელი და რობერტ ბრედოკი იყვნენ, რომლებიც თავისი მოღვაწეობის კვალობაზე გინესების წიგნში შევიდნენ. პირველმა მათგანმა 50 წლის მანძილზე გაზეთ „თაიმსისათვის" 4520 კროსვორდი შეადგინა, ხოლო მეორემ 60 წლის განმავლობაში კვირა არ გააცდინა კროსვორდების გამოქვეყნების გარეშე. ცნობილია ვინმე როჯერ სკვაიერის ფენომენალური შედეგიც, იგი ყოველკვირეულად 35 კროსვორდს ადგენდა. ამჟამად მას უკვე 27500-მდე თავსატეხი აქვს შედგენილი.

იურგენ კრეპელინი კი ადგენს ყველაზე რთულ კროსვორდებს და ამაში მას კომპიუტერი ეხმარება. კროსვორდის შედგენის შრომატევადი სამუშაო აშშ-ში უკვე ავტომატიზირებულია და საამისოდ შექმნილია სპეციალური კომპიუტერული პროგრამა. ელექტრონული „ერუდიტი" ერთი კროსვორდის შედგენაზე ხარჯავს მხოლოდ სამ წუთს.

## ტელეფანტაზია

# ბოროტების ხლართებში









### ბედნიერების ილუზია

„მე იგნასიოს ძალიან ვუყვარვარ, მე მჯერა მისი" — ამ სიტყვებით ევედრებოდა კასანდრა (თავის) ბაბუას და ცდილობდა მოხუცის გული მოელბო, ცდილობდა, ბოშა-ქალობას გამორიდებულს, ბედნიერება არ გამოსცლოდა ხელიდან და ტიროდა... ტიროდა... ჩვენი ეკრანების მომხიბლავი ფერია!

იმედია, შუქი გქონდათ და იხილეთ კასანდრას ცრემლიანი სახე, რომელიც ისევე მშვენიერი იყო, როგორც მომაჯადოებელი ღიმილისას და თუ ვერ ნახეთ ეს სცენა, დახედეთ ჩვენი გაზეთის პირველ გვერდს... ეგებ შევავსოთ ჩვენი ცხოვრების ეს ხარვეზი — უსინათლობა — და სიტყვიერად კი ის გითხრათ, რომ ბაბუა დათანხმდა, დიდის გაჭირვებით მისცა პირობა (თავის) შვილიშვილს, რომ იგნასიოსთან ქორწინებას ხელს არ შეუშლიდა, ის კი უთხრა — „სამწუხაროდ არ მჯერა მისი (იგნასიოსი) და ამის საბაბიც მაქვსო, „ეგ ის ადამიანი არ არის, ვისთანაც ბედნიერი იქნებიო", თითქოს გრძნობდა მოხუცი იმას, რაც ახლო მომავალში უნდა დასტეხოდა თავს საბრალო კასანდრას.

ადამიანები ყოველთვის გრძნობენ წინასწარ, ყოველთვის გააჩნიათ რაღაც გუმანი სიავისაც და სიკეთისაც, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არსებობს გრძნობათა მთელი კასკადი, რაც ამ წინათგრძნობას ჩქმალავს და აჩლუნგებს; ამ გრძნობათა შორის ხშირად სიყვარულიც მოიხსენიება... განა ტყუილადაა ნათქვამი — „სიყვარული ბრმააო"?! ზოგჯერ ისეთს შეგაყვარებს, ეშმაკთან რომ აქვს კუდი გადაფსკვნილი, შეგაყვარებს და... და თავი ბედნიერი გგონია!

იგნასიოს ვერაგობა გასულ კვირას ყველამ იხილა, ლოგიკური იყო მისი აღსასრულიც, მაგრამ მანამდე მან რაღაც ბედნიერება მაინც აჩუქა კასანდრას, თუნდაც მოჩვენებითი, თუნდაც წამიერი, მაგრამ მაინც ბედნიერება. კაცმა რომ თქვას, რომ არა ამ ყმაწვილის შმაგი სიყვარული ფულისადმი, იგი ეგებ სიცოცხლის ღირსიც ყოფილიყო, მაგრამ... თუმცა მოვლენებს გავუსწრებთ.

ახლა ჩაბელას მივხედოთ. ეს გოგონა იმავე სენითაა დაავადებული, რითაც მამამისი და იცით ვინ ყოფილა მისი მამა?! დიახ, დიახ... იგნასიო. საოცარია, არა?! რაც შეეხება სენს, ეს ფულის სიყვარული გახლავთ. სწორედ ეს სენია მიზეზი იმისა, რომ ამ კარგ გოგონას სძულს ყველა (და პირველ რიგში — კასანდრა), ვინც მას ალფონსო აროჩას ოჯახში „პრივილეგიებში" შეეცილება. მართალი გითხრათ, კვირის ბოლოს გაცხადებულ იმ საიდუმლომდე, რომ ჩაბელა იგნასიოს ქალიშვილია, ყველას ეგონა, როსაურას რისხვა კასანდრას მიმართ ერთი მიზეზითაა გამოწვეული — რომ მოსამსახურე ქალს თავისი უკანონო შვილის (ჩაბელას) მითხოვება სურს იგნასიოზე და კასანდრა სწორედ ამის ხელის შემშლელია. თუმცა ძაღლის თავი სხვაგან ყოფილა ჩამარხული — როსაურას თავად სდომებია იგნასიოს ფლობა... სწორედ როსაურამ დაუსვა წერტილი ფილმის პირველ საქორწინო ინტრიგას, ანუ:

> ... გნებავთ, უყუროთ „კასანდრას"?
>
> მაშ, გადაიხადეთ ელექტროენერგიის საფასური!
>
> ... და თუ ამ საფასურის გადახდის კატეგორიული წინააღმდეგნი ხართ, გაყიდეთ ყველაფერი და შეიძინეთ გენერატორი („დვიჟოკი").
>
> ... და თუ აღარაფერი დაგრჩათ გასაყიდი, რეგულარულად იკითხეთ გაზეთი „ფანტაზია" — „კასანდრას" მემატიანე!

ყველანი ქორწილისათვის განეწყვნენ. დაინიშნა ამ „ბედნიერი დღის" თარიღიც; „უგვარო ბოშა-ქალს" ყველა (მისი მოყვრები) თავს ევლებოდა, ნაირგვარ სამოსსა და სამკაულს სჩუქნიდნენ საპატარძლოს და აქ ერთი უცნაური „სვლა" შესრულდა რომანის ავტორის მიერ, „სვლა", რომელიც მომავალში აუცილებელ შედეგს გამოიღებს და, ალბათ, დაძაბულობის ქვაკუთხედი იქნება. თუ ნახეთ ის სცენა, ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილ კასანდრას ალტაცებული თვალებით რომ შესცქეროს ადვოკატი ალონსო. ასეთი მზერა არასოდეს ქრება უკვალოდ და ღრმა ფესვებიდან მოდის... აკი თავად კასანდრამაც უთხრა იგნასიოს, ის ყმაწვილი (ალონსო) შესანიშნავი პიროვნება ჩანსო,... განა რაიმე საფუძველი გააჩნდა საამისოდ? — არა! უბრალოდ, აქ რაღაც ქვეცნობიერი ძალა ამოქმედდა... ალბათ, ის წინათგრძნობა, რაზედაც ზემოთ გესაუბრეთ.

— რაღაც ვარაუდი ჩვენც გვაქვს: როგორც ჩანს, იგნასიოს მკვლელობა კასანდრას დაბრალდება და ადვოკატი მას დაეხმარება უდანაშაულობის დამტკიცებაში...

რაო?! — იგნასიოს მკვლელობაო?!

დღეს რატომღაც მოვლენებს წინ უსწრებს თქვენი (უშუქობის) მთხრობელი („ფანტაზიის" რედაქტორზე მოგახსენებთ) და ეს გამართლებულია იმით, რომ გასულ კვირას საოცარი სისწრაფით გადაეჯაჭვა ერთმანეთს ამბების კალეიდოსკოპი.

### ქორწინება

„ღმერთმა არ ქნას, გავიგო, რომ ჩემი შვილიშვილი იგნასიოს ხელში უბედურიაო" — ამ სიტყვებით დაემუქრა კასანდრას ბაბუა თავის გაიძვერა მეუღლეს, კვლავაც გააფრთხილა იგი, რომ მისი ნებიერა შვილისათვის ანგარების გზა მოეჭრა და ასე, ეჭვებში ჩავარდნილი, გაემზადა საქორწილო რიტუალისთვის.

ხორცშესხმული მშვენება იყო კასანდრა, ქათქათა საქორწილო კაბით რომ მოევლინა ჯვრისწერის რიტუალს, მთელი ქალაქი (მათ შორის პრესაც) ამ ფაქტის ხილვას ესწრაფოდა.

უმშვენიერესმა წყვილმა თანხმობა და სიყვარული აღუთქვა ერთმანეთს, აღსრულდა მორიგი ღვთიური იდუმალება და ახალგაზრდებს მიმლოცველთა გუნდი აედევნა, რომელთა შორის ვინმე ნორმაც აღმოჩნდა, იგნასიოს ყოფილი საყვარელი და აღსრულებული ბედნიერების დანგრევა განიზრახა... იგნასიოს სიკვდილი ამ პერსონაჟს ფუნქციას უკარგავს, მაგრამ ასეთ გაწელილ სერიალებში ეპიზოდებისათვის პერსონაჟს არ ქმნიან და, როგორც ჩანს, სადღაც მომავალში კვლავაც შევხვდებით მას. ჩვენ ისევ იგნასიოს სიკვდილი ვახსენეთ, ისევ გადავახტით სიუჟეტს, თუმცა სიკვდილის აჩრდილი ამაოდ არ მოგვლანდებია, რადგან ჩვენთვის ერთობ სიმპატიური რანდლუ (ხომ არ დაგავიწყდათ მისი არსებობა?!) ეკლესიიდან გამომავალი ბედნიერი წყვილის ხილვით ერთი სურვილითღა აღივსება — თავი მოიკლას!

### (მაშ, ვინ მოკლა იგნასიო?)

ჰოდა, იმას ვამბობდით: „შეყვარებულებმა" იქორწინეს; ამასობაში ალფონსო აროჩამ ანდერძის შეცვლაც განიზრახა, რათა მისი მემკვიდრე მხოლოდ კასანდრა ყოფილიყო და იგნასიოს ღალატის შემთხვევაში ყოფილი ბოშა უსასოოდ არ დარჩენილიყო, იგნასიოს გაიძვერობაში კი ალფონსო თითქოს დარწმუნებული იყო.

– ერთი ფაქტის აღნიშვნაც დაგვავიწყდა: ქორწილამდე კასანდრას ვიღაც ქალმა დაურეკა და უთხრა — „იგნასიოს ცოლობა არ გაბედო, რადგან მისი ცხოვრების ერთადერთი ქალი მე ვარო!" გახსოვთ ეს ფაქტი?! (თუმცა როგორ გეხსომებათ, თუ შუქი არ გქონდათ?!)

ის ტელეფონო-ინკოგნიტო ქალი იმასაც დაემუქრა კასანდრას, რომ ეკლესიიდან მკვდარს გამოგიტანენო, მაგრამ ვერ მოგართვეს... ვერ გამოიტანეს! — ახლად დაქორწინებულნი თავისი ფეხით გამოვიდნენ ეკლესიიდან და თაფლობის თვის გასატარებლად სადღაც ოკეანისპირა აგარაკზე წავიდნენ...

### (ცოტა დავისვენოთ!)

ორმოც წელს გადაცილებულ ხალხს სიყვარულის უკანასკნელი ტალღა ეძგერებათ ხოლმე... აი, მაგალითად, ჰემა! — რა დროს მისი სიყვარული იყო?! მან იმ ჩვენი ცნობილი ადვოკატის ძმასთან ამასობაში „რომანი" არ გააბა? ერთი ამ „ბებრუცანებს" დამიხედეთ! თუმცა ხომ გაგიგონიათ — „ლიუბვი ვსე ვოზრასტი პოკორნიო!" (რუსულად მოგახსენებთ, რაღა!) და ჩვენც ვაცალოთ მათ, თავისი ჭია გაახარონ...

ასეთი სამწუხარო ამბავიც უნდა მოგახსენოთ: კასანდრას საყვარელ სპილოს ერთობ მოუწყენია და ცირკის ბოშებს საშველიც ვერაფერი უნახავთ...

აი, დავისვენეთ კიდევაც და ისევ განვაგრძოთ:

წინ დიდი ამბები გველის!

უკან კი იმ პიროვნების „აჩრდილი" დარჩა, რომელიც „ჩვენი" ერთადერთი იმედიღა იქნება მას შემდეგ, როცა ის ქალი იგნასიოს მოკლავს; ლუის დავიდზე მოგახსენებთ, რომელიც მომავალი სატრფიალო ინტრიგის (ეგებ სამკუთხედისაც) ერთ-ერთი რეალური კანდიდატურაა, მაგრამ ფილმის შემქმნელებმა „მოახერხეს" ის, რომ იგი ქორწინებაზე არ ჩამოეყვანათ და 20-30 სერიით კიდევ გაეწელათ მაყურებლის „მოლოდინის სიამე".

ო, ლუის დავიდ, ნამდვილო უფლისწულო, სადა ხარ?!

### „ფარდის ახდა..."

იცით, რომელ სერიაში ვართ? — სადღაც 43-ეში, ე. ი. ფილმის ერთი მეოთხედი ვნახეთ, თუმცა უშუქობის გამო ეს ოდენობა ზოგისთვის ერთ მეათედამდეა შემცირებული, მაგრამ ოფელია — ტობიასების და მისთანათა სცენებს თუ არ ჩავთვლით, სერიალის მთავარი ამბები ნამდვილად არ მოიცავს ამ „ერთ მეათედზე" მეტს; ასე რომ, ხალხი, რომელიც ელექტროენერგიას გამოხშირვით გვაწვდის, როგორც ჩანს, მათემატიკაში კარგად ერკვევა. მოდით, ჩვენც გამოვხშიროთ მოვლენები:

ქორწილის შემდეგ როსაურა სადღაც დაიკარგა, „ავადა ვარო", — თქვა და სადღაც დაიკარგა...

ჩაბელა ჩვენს (კარგად გასაცნობ) ადვოკატს ეპრანჭება...

ბარემ მომაკვდავი რანდლუს მონოლოგიც მოვისმინოთ: „ის იქ ვნახე, იქ, საკურთხეველთან, იმ წყეულ კაცთან ერთად, მას რომ ვხედავ, სული მემღვრევა. ყველაფერი დამთავრდა; ყველაფერი დამთავრდა... ყველაფერი!..." (გეცოდებათ, არა?!).

ამ მონოლოგის პარალელურად კი იგნასიო და კასანდრა პირველი საქორწინო ღამისათვის ემზადებიან; კარგი საწოლი, სიმყუდროვე, მოძალებული ვნება და... სხვა რა უნდა ამ ღამეს... „მოდი, იცი, რას გეტყვი, გაიხადე და მე ახლავე დავბრუნდებიო" — ამბობს იგნასიო (კასანდრას უთხრა, განა სხვას).

„ჩემი სიცოცხლევ, აი, ასე — წვეთწვეთად დაილევა" — ეს კი ვნებაგადახსნილი რანდლუს სიტყვებია. „მე მინდოდა, მთელი სამყარო მეჩუქებინა შენთვის, შენ არ ისურვე, მაშინ დამილოცნიხარ, ჩემო დედოფალოო..." და სადღაა რანდლუ?! ვითომ მოკვდა?!

„ნუ გეშინია, კასანდრა, მოდი ჩემთან" — ეს ხმები ახლადდაქორწინებულთა ოთახიდან ისმის...

მადლობა ღმერთს, რომ რეჟისორმა უხამსი სცენა არ შემოგვთავაზა და რანდლუს თვითმკვლელობის პარალელურად მხოლოდ „იმ ღამის" უვერტიურა დაამონტაჟა...

„ღამის" მსვლელობისას მძინარე ცოლი მიატოვა იგნასიომ და ოკეანის პირას ვიღაც ქალთან გააბა მასლაათი, აი, მოკლე ჩანაწერიც:

„კუდში ნუ დამდევ, თავი დამანებე! ხომ აგიხსენი, რომ მე ის არ მიყვარს, ცოლად ფულის გულისთვის მოვიყვანე... ცოლად იმიტომ მოვიყვანე, რომ ის ალფონსო აროჩას შვილიშვილია. ეს დიდი ხნის წინ გავიგე, გავიგე, რომ კასანდრა ანდრეინას ქალიშვილია და მე ყველაფერი ისე დავგეგმე, რომ მას შევყვარებოდი და მასზე დაქორწინებით ალფონსოს ფული მე დამრჩენოდა... როგორ შეგეძლო დაგეჯერებინა ის, რომ მე ეს ცირკის მაწანწალა მიყვარს?! მე მას თავი შევაყვარე და გავიმარჯვე, რადგან ახლა მე ბევრი ფული მაქვს?"

– და ყველაფერი ეს კასანდრამ თავისი ყურით მოისმინა! (... იგნასიოსთან მოსაუბრე ქალის ვინაობას კი ჯერ ვერ გაგიმხელთ)

... თავისი ყურით მოისმინა კასანდრამ... წარმოგიდგენიათ?!

ეჰ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და კასანდრას თვალწინ შემზარავ სინამდვილეს ფარდა აეხადა!

– და აი აქ ჩვენმა ტელევიზიამ სიურპრიზი შემოგვთავაზა: პარასკევ დღეს, როცა ხალხი საკასანდროდ არაა განწყობილი, „კასანდრას" მორიგი სერია შემოგვთავაზა და ამით, როგორც ჩანს, გასულ კვირას „ნეზავისიმაია გაზეტას" სტატიის გამოისობით გაცდენილი დღე აღადგინა. ასე რომ, თქვენს მონა-მორჩილს ეს საკვანძო სერია გამორჩა და, რომ არა მისი ცოდნა ამ ფილმის მომავალი ამბებისა, იგი ვერ შეძლებდა თავის (უშუქო) მკითხველისათვის ბოლოსდაბოლოს ეთქვა, თუ ვინ მოკლა იგნასიო.

იმ ოკეანისპირა სახლში კი დრამა გათამაშდა, რომელიც ნელინელ ტრაგედიაში გადაიზარდა:

იგნასიომ კასანდრა ჩაკეტა და ბაბუასთან დაბრუნების გასაქანი არ მისცა; ჩვენი მშვენიერი ქალბატონის სიცოცხლე კვლავაც საფრთხეში აღმოჩნდა, რადგან იგნასიომ მას ვიღაც საზარელი ქალი მიუჩინა მეთვალყურედ, რომლისაგანაც ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ამასობაში კი საცოდავ ბაბუას და ბებია დარინდას (ჰემა, როგორც გითხარით შეყვარებულია და კასანდრასთვის არ სცალია), დიახ, კასანდრას ბებია-ბაბუას საშინელი წინათგრძნობა აწუხებს, მათ რაღაც გუმანი ჰკარნახობს, რომ კასანდრა საფრთხეშია, მაგრამ თვით მკითხავი დარინდაც კი უარყოფს გუმანის მაგიურ ძალას და იმის წარმოდგენაც არ უნდათ, რომ კასანდრას შეიძლება რაიმე უბედურება სჭირდეს. თვით ერმინიასაც შეუჩნდა მღელვარება შვილის, იგნასიოს, გამო, მაგრამ, აკი გითხარით, ადამიანი არასოდეს იჯერებს ღვთისაგან ბოძებული საოცარი შეგრძნების, წინათგრძნობას სიმართლეს და მას რაღაც საბაიბურო ცნებებით აბათილებს... იგნასიოს კი მართლაც საშინელი ტრაგედია ელოდა:

მასთან როსაურა მივიდა და მორიგ იდუმალებას აეხადა ფარდა:

ჩაბელა, რომელიც დიდი ხნის წინ ერმინიამ კალათში მიგდებული იპოვა, იგნასიოს და როსაურას შვილი ყოფილა. როსაურა კი ის ქალი გახლავთ, ვინც დაიფიცა, – იგნასიოს ცხოვრებაში ერთადერთი ქალი მე უნდა ვიყო და აკი აღასრულა კიდეც ეს ფიცი — თავისი ცხოვრების (მართლაც) უფლისწული თავადვე გამოასალმა წუთისოფელს, საგანგებოდ წამოღებული პისტოლეტით...

ასე აეხადა ფარდა ფილმის პირველ მეოთხედში დაგროვილ ყველა საიდუმლოს და ასე დაეშვა იგნასიო კონტრერასის ცხოვრების ფარდა.

მორჩა! გათავდა! სხვა რაღა უნდა მოხდეს?

ვითომ ლუის დავიდი გააგრძელებს დარჩენილი ასიოდე სერიის ინტრიგებს?!

თუ ადვოკატი ალონსო?

თუ ორივე ერთად?

ის კი ფაქტია, რომ იგნასიოს მკვლელობაში პირველ ეჭვმიტანილად პოლიცია კასანდრას მიიჩნევს, კასანდრას, რომელმაც გამოაღწია ოკეანისპირა სახლიდან, ბაბუსთან ჩამოვიდა და ამცნო, რომ იგი ძალზედ უბედურია, რომ იგნასიო არ აღმოჩნდა ის, ვინც ეგონა და ამის გამგონე ბაბუა ალფონსოს გონი დაეკარგება და ჩაიკეცება...

ახლა სრულიად ახალი კუთხით განვითარდება ფილმის მსვლელობა და უფრო მასშტაბური და მღელვარე დღეები გველის.

> გინდათ გაიგოთ, მერე რა მოხდება?!
>
> (გადაიხადეთ ელექტროენერგიის საფასური და გაიგებთ! ან უკიდურეს შემთხვევაში იაპონური რადიომიმღებები შეიძინეთ, რომლებიც ჩვენი ტელევიზიის პირველი არხის ხმოვან სიგნალებს იჭერენ და უსმინეთ!
>
> თუ ესეც არ ხელგეწიფებათ, მაშინ იკითხეთ „ფანტაზიის" რეპორტაჟები, რომლებსაც, სხვათა შორის, ზოგჯერ რადიომიმღებებით ვამზადებთ).

**P.S.** მაყურებელთა შორის გაჩნდა ეჭვი, რომ, შესაძლოა, იგნასიო გადარჩეს. სერიალებში ყველაფერი მოსალოდნელია. ვნახოთ!

**ერთი მაყურებლის პირადი შთაბეჭდილებები**

# სუპერფანტაზია
# CROSS GALLERY

## ნაცნობი პრეზიდენტები — ნაცნობ გაზეთში


1


14


15


20



გასული ნომრის კროს-ვორდი მთლიანად ამოხსნა ბატონმა შოთა ფანჩვიძემ


50


52


61


71


27


28

**პოზიციურად (მარჯვნიდან მარცხნივ):**

5. მამა-შვილი გერმანელი ასტრონომები. 15. *(იხილეთ ფოტო)* გაიხსენეთ ამ პრეზიდენტის მშობლიური ავტ. რესპუბლიკა. 16. ავტომატური პისტოლეტი. 17. რა აერთიანებს მწერალს და მკითხველს. 18. ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი. 19. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 20. *(იხილეთ ფოტო)* გაიხსენეთ ამ ექს-პრეზიდენტის მშობლიური ქალაქი. 21. ის, რაც იშოვა მან, ვინც „ახტა-დახტა". 22. უაზრობა. 24. წყალში ხსნადი ფუძე. 25. პოლიტ. მოღვაწეთა პათოსის „შემადგენელი ნაწილი". 27. ვინ აღმოჩნდა ფოტო № 76-ი ფოტო № 20-ისთვის. 28. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 33. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი. 35. წარსულის იმპერია. 36. მარქსი-ლენინი-სტალინი. 38. წარსულის თბილისელი კალათბურთელი. 39. დიდი ქართველი მოქანდაკე. 40. პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი. 41. ექიმი. 43. სამხედრო წვრთნის სახესხვაობა. 44. კეცხოველიც და ლეკიშვილიც. 46. ბაირონის „წამოწყებული" საქმე. 50. ვინ მყავდა და ვინ მიყვარდა? (სიმღერაში). 53. იტალიელი ფიზიკოსი. 54. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი. 55. ჯულაშვილიც და პავლიაშვილიც. 56. დიდგვაროვან ყმაწვილთა სასწავლებელი ინგლისში. 58. საქართველოს რაიცენტრი. 59. უფროსი ზვამბაია (სახ. ბრ. ნიშნით). 60. გაზეთი, რომლის რედაქტორი ახალგაზრდა ბელადი იყო. 61. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 66. (სინიორ) კალვინო, იტალიელი მწერალი. 67. იტალიელ ფაშისტთა ლიდერი. 68. წარსულის ქართველი ფეხბურთელი. 71. (ბატონი) ჟორდანია, თბილისის „დინამოს" მწვრთნელი. 72. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 73. ძვირფასი ქსოვილი. 75. ძია, ჩეხოვის პიესიდან. 76. *(იხილეთ ფოტო)* სპორტი, რასაც ეს პრეზიდენტი ახალგაზრდობისას მისდევდა (ვითომ ვერ იცანით?! ოხ-ო-ხო!). 77. წარმატებისათვის გამოსაყენებელი „რამ". 80. რუსი მოჭიდავე, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი. 81. რუსეთის მდინარე. 83. დიდი ქართველი მსახიობი. 84. აშშ-ს ერთ-ერთი პრეზიდენტი. 85. ყველაზე ნიჭიერი ჯუზეპე (ჩვენებურად — იოსები). 86. არაფრანგული კონიაკი. 87. საოჯახო ჯარიმა — გადასახადი. 88. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი. 89. შუამდინარეთის უძვ. სახელმწიფო. 90. ნიკოლოზ შენგელაიას კინოფილმი.

**ოპოზიციურად (ზემოდან ქვემოთ):**

1. *(იხილეთ ფოტო)* ხომ იცანით ეს კაი კაცი? 2. დიდი სპარსელი პოეტი. 3. ტკბილი ენის „სამოქმედო" სივრცე. 4. (ბატონი) შოშიტაიშვილი. 5. „თვითკმაყოფილი პიროვნების" ლათინური სინონიმი. 6. ქსოვილის სახესხვაობა. 7. სწრაფმავალი ცხენი. 8. „ბნედების მოსვლის" არაქართული სინონიმი. 9. უნიჭიერესი ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 10. არტილერიული დანადგარი. 11. პოლიგრაფიული ფირფიტა. 12. ძვ. ინგლისური ვერცხლის ფული. 13. გადაცემა — ფარული კამერით. 14. *(იხილეთ ფოტო)* გაგახსენდათ ეს კომუნისტების გაკიცხული პრეზიდენტი? 23. ექიმი-ძველებურად. 26. ფლორა და ფაუნა და სხვა ბევრი რამე. 27. *(იხილეთ ფოტო)* ღმერთმა აცხონოს ეს პრეზიდენტი. 28. პროგრესის მთავარი მუხრუჭი. 29. ხორციანი საკვები. 30. რუსი ჩოგბურთელი ქალი. 31. ... რაც ზოგჯერ პირსაც კი „კეტავს". 32. რაიმე ფიზიკური სიდიდის ყველა მნიშვნელობათა ერთობლიობა. 34. დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი. 37. ახმეტის რაიონის თუშური სოფელი. 39. საჭადრაკო დაცვის „ავტორი". 42. უფლისწული (კასანდრა-იგნასიოს ენაზე). 45. საქართველოს პირველი ელჩი თურქეთში. 47. ერთმინიანი სათვალე. 48. როგორი მსაჯული იცით. 49. „აპარატი", სადაც ვიღაც იჯდა (ერთ ფილმში). 50. *(იხილეთ ფოტო)* ვაცალოთ, ბატონო, ვაცალოთ... ჯერ ახალი პრეზიდენტია! 51. რუსი მეკარე-კომენტატორი. 52. *(იხილეთ ფოტო)* გაიხსენეთ ამ პრეზიდენტთან „დაკავშირებული" მუს. ინსტრუმენტი. 57. მონიკა ვიტის კინოროლი. 62. შვეული № 52-ის მუს. ინსტრუმენტის აღმოსავლური კოლეგა. 63. „ველური დასავლეთის" შესახებ გადაღებული ფილმი. 64. მოკლე პრესკონფერენცია. 65. წარსული ეპოქის „პლეიერი". 68. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე. 69. ბულგარეთის კურორტი. 70 (თუნდაც) პოლიტიკური ცხოვრების „ინფორმაციის" წყარო. 71. *(იხილეთ ფოტო)* ავლანეთგამოვლილი პრეზიდენტი. 72. წერილობითი ან ზეპირი მოხსენება. 74. მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი. 78. იტალიელი კინომსახიობი, ფრანკო... 79. ესპანეთის ეროვნული გმირი. 80. სამოსი. 82. საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაცია.


72


76


## სტუდია «ვიდეოეკრანის» ჰიტ-პარადი

*(გაყიდული კასეტების რაოდენობის მიხედვით)*

**1. ПРИЗРАК И ТЬМА**
1997 წ. 1:40 წთ. (მაიკლ დუგლასი; ვლ კილმერი, რეჟ. სტივენ ჰოპკინსი). სათავგადასავლო ბოევიკი

**2. СПЯЩИЕ**
1997 წელი 2:30 წთ. (რეჟ. ბარი ლევინსონი) (რობერტ დე ნირო, დასტინ ჰოფმანი, ბრედ პიტი, ქევინ ბელქონი). კრიმინალური დრამა

**3. ДРАИВ**
1997 წელი 1:48 წთ. (მარკ დაკასკოსი, მასაია კატო). ბოევიკი/კარატე

**4. ДОЛГИЙ ПОЦЕЛУЙ НА ПРОЩАНИЕ**
1997 წელი 2:00 წთ. (რეჟ. რენი ჰარლინი), (ჯინა დევისი, სამუელ ლ. ჯექსონი)

**5. ВЫКУП**
1997 წელი 2:10 წთ. (რეჟისორი: რონი ჰოვარდი) (მელ გიბსონი, რენე რუსო, ჰარი სინისი) მძაფრსიუჟეტიანი ბოევიკი

**6. ГЕНОЗАВР**
1:35 წთ. 1997 წელი (მარკ დაკასკოსი, იურგენ პროხნოვი). ფანტასტიკა

**7. ЯНКИ В АФРИКЕ**
1:26 წთ. 1996 წელი (რეჟ. ლეონ შუსტერი) შესანიშნავი ოჯახური კომედია

**8. АЛАЯ БУКВА**
2:10 წთ. 1996 წელი (დემი მური, ჰერი ოლტმენი, რობერტ დიუვალი). მელოდრამა

**9. КАНИКУЛЫ В ВЕГАСЕ**
1:35 წთ. 1997 წელი (ჩევი ჩეიზი, რენდი კვეიდი) კომედია

**10. ШАМИЛ**
1:20 წთ. 1997 წელი (რუსეთი). ისტორიული ბოევიკი

## სტუდია «ვიდეოეკრანის» მომავალი კვირის კინო-სიახლენი

1. **ЯД.** ბრაინ ბოსვორტი. ბოევიკი
2. **СВЯЗЬ.** ჯენიფერ ჰილი, ჯინა ჰერშონი. ეროტიკული ტრილერი
3. **ВЕСЬ ОГРОМНЫЙ МИР.** რენე ზელვეგერი მელოდრამა
4. **ШАХ И МАТ.** სინტია როტროკი. კარატე
5. **БИЗНЕС ДЛЯ НАСЛАЖДЕНИЯ.** ზალმან კინგის („9 1/2 კვირა", „ველური ორქიდეა") კოლექციიდან. ეროტიკული მელოდრამა
6. **БРЕМЬЯ БЕШЕННЫХ ПСОВ.** რიჩარდ დრეიფუსი, ჯეფ გოლდბლუმი. მაფია/ბოევიკი
7. **БЕСКОНЕЧНАЯ ЛЮБОВЬ.** მეტიუ ბროდერიკი, პატრიცია არკეტი. მელოდრამა
8. **ГОРБУН.** რიჩარდ ჰარისი, სალმა ჰაიაკი. ისტორიული მელოდრამა
9. **РУБИН КАИРА.** ენდი მაკდოუელი, ლაიმ ნისონი. ტრილერი
10. **ЗВЕЗДА ШЕРИФА.** კრის კრისტოფერსონი დეტექტივი

ყოველი ამ ფილმის შეძენა შეგიძლიათ სტუდია „ვიდეოეკრანში" ტელ: 62-72-38


შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ კროსვორდს იტალიელი ნაცნობების თემაზე, შესაბამისი ფოტოილუსტრაციებით... ეგებ ინებოთ მათს გარემოცვაში თქვენი ფოტოს ხილვა?! — მაშ, ბოლომდე შეავსეთ დღევანდელი კროსვორდი და გვეწვიეთ რედაქციაში მასთან (კროსვორდთან) ერთად.


ის „ფანტაზია"
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№ 7/1-1811

ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
პაატა დავითაშვილი
ბაქარ მათიკაშვილი
ზურაბ აბაშიძე
იოსებ გენებაშვილი
მაია კვირიკაშვილი, ქეთი უერთაშვილი, მაკა ხიდეშელი

მისამართი: უზნაძის ქ. 18 (საქწიგნის შენობა, I სართული)